ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

21. 05. 2012. №57

თბილისი

არქიტექტურული კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა და სტუ-ს „თაბაშირმუყაოს“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის შ. ბაქანიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის „თაბაშირმუყაოს“ სასწავლო ცენტრისათვის მე-7 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული სათავსოების რეკონსტრუქციის პროექტის შედგენისათვის შიდასაუნივერსიტეტო არქიტექტურული კონკურსი.
2. გამარჯვებული პროექტის გამოვლენის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - გრიგოლ კაკაურიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის უფროსი.
   - ლალი ღოღელიანი – სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძვანელის მოადგილე.
   - გიორგი ჯაფარიძე – შპს „კნაუფ-მარკეტინგ-თბილისის“ გენერალური დირექტორი.
   - გოჩა მიქიაშვილი – სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი.
   - შახი ბაქანიძე – სტუ-ს „თაბაშირმუყაოს“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი.
3. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 20 ივნისს.
4. კონკურსში მონაწილეებმა საკუთარი ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანატში 2012 წლის 20 მაისიდან 19 ივნისამდე.
5. კონკურსის პირობების დეტალური ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
6. გამარჯვებულთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება პროექტის შესრულების შესახებ.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე